III კლასი **ოლიმპიადა ,,განთიადი”** დაზოგე დრო!

სახელი , გვარი , ტელეფონი_____

სკოლა_____

მათემატიკა

ამოცანები , რომელელიც ფასდება 3 ქულით

1. რისი ტოლია 612-ის, 150-ის და 237-ის უახლოესი ასეულების ჯამი?

   ა) 700 ბ) 900 გ) 800 დ) 1000

2. სულ მცირე რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 99_ს , რომ ეს რიცხვი განახევრდეს ?

   ა) 1 ბ) 2 გ) 0 დ) 4

3. ბებომ კატოს 36 თხილი მისცა. კატომ ნახევარი შეჭამა, დანარჩენი კი თავის მეგობრებს ნიას, თამთას და დავითს თანაბრად გაუნაწილა. რამდენი თხილი შეხვდა თითოეულს?

   ა) 3 თხილი ბ) 4 თხილი გ) 5 თხილი დ) 6 თხილი

ამოცანები, რომლებიც ფასდება 5 ქულით

4. ნინომ დაწერა მეგობრის სახელი ისე , რომ ყოველი ასო შეცვლა ამ ასოს რიგითი ნომრით ქართულ ანბანში. დაიწერა 391. რა ერქვა მეგობარს ?

   ა) ანა ბ) ეკა გ) ლიზი დ) გია

5. მასწავლებლებმა მოსწავლეები ლაშქრობაზე წაიყვანა. ბავშვების თორმეტმა წყვილმა გადაწყვიტა წრეში ბურთი ეთამაშათ , 8 წყვილმა ფეხბურთის თამაში წამოიწყეს , ხოლო 13 წყვილი მდინარის ნაპირზე ქვებს აგროვებდა . სულ რამდენი ბავშვი იყო ლაშქრობაზე ?

   ა) 56 ბ) 42 გ) 66 დ) 50

ამოცანები, რომლებიც ფასდება 7 ქულით

6. დაასახელე ისეთი სამნიშნა რიცხვი რომელშიც არის 16 ათეული.

   ა) 165 ბ) 464 გ) 266 დ)360

7. სახლში 7 ოჯახო ცხოვრობს. თითოეულ ოჯახში 2 უფროსი და სამი ბავშვია.

რამდენით მეტი ბავშვი ცხოვრობს სახლში?

ა) 4-ით ბ) 5-ით გ) 6-ით დ) 7-ით

8. გიგანტური კუ საკვების გარეშე სძლებს 2 კვირა. რამდენ კვირას გაძლებს სამი გიგანტური კუ საჭმლის გარეშე?

ა) 2 კვირა ბ) 4 კვირა გ) 6 კვირა დ) 5 კვირა

ამოცანები, რომელიც ფასდება 10 ქულით

9. ფიგურის ერთი უჯრედი 1სმ-ის ტოლია.რისი ტოლია გვერდების სიგრძეთა ჯამი?



ა) 30სმ ბ) 22სმ გ) 11სმ დ) 20სმ

ერთი დღე ფერმაში

10. ანა , ანასტასია და ამირანი პაპა გიგას ფერმაში ეწვივნენ და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ .

ა) ანამ ქათმებს საკენკი დაუყარა და თან მათ ფეხებს ითვლიდა. ყველას ერთად 22 ფეხი ჰქონდა.

ბ) ანასტასიამ გოჭები გამოკვება და თან მათ ფეხებს ითვლიდა, ყველას 32 ფეხი ჰქონდა.

გ) ამირანმა ხბორები მინდორში გარეკა და მათი ყურები დათვალა. მათ სულ 28 ყური ჰქონდათ.

- ფერმაში 10 ქათამია _ თქვა ანამ.
- ფერმაში 9 გოჭია თქვა_ თქვა ანასტასიამ.
- ფერმაში 14 ხბოა _ დაამატა ამირანმა.

რომელი იყო მართალი ?

ა) ანა ბ) ამირანი გ) ანასტასია დ) სამივე**ქართული ენა**

(*ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 3 ქულით)*

მოცემულია ანდაზა: **„ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო“** ახლა კი უპასუხე შეკითხვებს.

1. დაასახელეთ ზარმაცის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვათა ჩამონათვალი (ანტონიმი).

ა) უსაქმური, უიმედო, უქნარა; ბ) უჟმური, ყოჩაღი, მარდი;

გ) ყოჩაღი, მშრომელი, გამრჯე; დ) უქნარა, უსაქმური, ზარმაცი.

2. რას ნიშნავს გამოთქმა **ყოველი დღე?**

ა) ერთ დღე; ბ) ყველა დღე; გ) ხვალინდელი დღე; დ) არცერთი დღე.

3. კვირის განმავლობაში უქმე დღეები უფრო ჭარბობს თუ სამუშაო დღეები?

ა) უქმე დღეები; ბ) სამუშაო დღეები; გ) თანაბრადაა;

დ) ამის დადგენა შეუძლებელია.

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 5 ქულით)

4. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ წინადადებას შეესაბამება ანდაზა: **„ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო?“**

ა) ლადოს ყოველ დღე უხარია შრომა; ბ) ლადოს გუშინ უხაროდა უქმად ყოფნა;

გ) ლადოს ყოველ დღე ეზარება შრომა;

დ) ლადოს დღეს მოსწონს შრომა, ხვალ კი დაეზარება.

5. გვენაღვლება ანუ ....

ა) ვაწუხებთ; ბ) შემაწუხებს; გ) გვაწუხებს; დ) შეგვაწუხა.

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 7 ქულით)

6. ზამთარია, იანვარი,
ბავშვებს თოვლი ართობს.
ჭრელი ბურთი ფანჯარასთან
გდია .....

რომელი სიტყვა უნდა ეწეროს ამ ლექსის ბოლოს?

ა) ნატრობს; ბ) ხარობს; გ) შრომობს; დ) მარტოდმარტო.

7. წელიწადის რომელი დროის, მერამდენე თვეა იანვარი?

ა) გაზაფხულის მეორე თვე; ბ) ზამთრის მეორე თვე;

გ) ზაფხულის პირველი თვე; დ) შემოდგომის მესამე თვე.

8. რომელი წინადადება არ შეეფერება ლექსის შინაარსს?

ა) ბავშვებს თოვლი ახარებს; ბ) ჭრელი ბურთი ფანჯარასთან გდია;

გ) ზამთარია და თოვლი მოდის; დ) ზამთარი ჯერ არ დამდგარა.

(ქვემოთ მოცემული დავალებები ფასდება 10 ქულით)

9. თუ ახლა იანვარია და გიორგის დაბადების დღე აქვს თებერვალში, მაშინ ...

ა) გიორგის დაბადების დღე უკვე იყო;
ბ) გიორგის დაბადების დღე ჯერ არ დამდგარა;
გ) გიორგის დაბადების დღე ზუსტად ორ დღეში დადგება;
დ) გიორგის დაბადების დღე ამ კვირას აუცილებლად იქნება.

10. იანვრის თვის შესაფერისია:

ა) ყინვა, მზე, გრძელი დღე და მოკლე ღამე; ბ) ყინვა, თოვლი, მოკლე დღე და გრძელი ღამე;
გ) სითბო, ნიავი, მცხუნვარე მზე და ყინული; დ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი. წინადადება.